



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/20

ქ. თბილისი

29 აპრილი 2021


სტუ-ის 2021 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2021 წლის 15 აპრილის №0000362834 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 29 აპრილის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი)

დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2021 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 აპრილის №0000362834 წერილით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოკიძე